საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 131

07 09 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3086 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის სხდომის N14 ოქმის მე-10 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3086 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1-ის მე-3[1] პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სამგზის არშემდგარი ტენდერის გამო, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთელსა და სოფელ თაქალოში სარწყავ არხებზე გადასასვლელი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI